

შპს ქუთაისი ტექსტილე
2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაზაშ

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაბაშ

შპს ქუთაისი ტექსტილ

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	123,014	81,017	12,952
სავაჭრო მოთხოვნები	41,196	4,392,780	1,724,162
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7 212 916	-	-
მარაგები	567,814	239,035	1,174,454
- მზა პროდუქცია	177,467		
- სხვა	390,347	239,035	1,174,454
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	162,788	53,568	33,258
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8 1,030,256	198,171	238,222
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	9,137,984	4,964,571	3,183,048
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9 1,280,250	983,487	2,421,211
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	72,430		
საგადასახადო ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	506,883		
სხვა ვალდებულებები	10		
სულ ვალდებულებები	1,859,563	983,487	2,421,211
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100	100
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	7,278,321	3,980,984	761,737
გადაფასების რეზერვი			

შპს ქუთაისი ტექსტილ



დირექტორი: ჰაქან ქაიაზაშ

სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		7,278,421	3,981,084	761,837
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,137,984	4,964,571	3,183,048
სულ მოკლევადიანი აქტივები		162,788	53,568	33,258

შპს ქუთაისი ტექსტილე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3	7 066 179	7,185,239
საქონლის გაყიდვიდან		5 998 051	7,185,239
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		1 68 128	-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-2 611 778	-2,929,463
საწყისი მარაგები			-1,174,454
მარაგების შესყიდვა			-1,994,044
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		4 454 401	4,255,776

სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		-698 665	-761,265
ცვეთა და ამორტიზაცია	5	-58 544	-49,160
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :		-24 786	
იჯარის ხარჯი	6	-78 106	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-296 316	-206,711
სულ საოპერაციო ხარჯები		-1 156 417	-1,017,136

საოპერაციო მოგება		3 297 984	3,238,640
--------------------------	--	-----------	-----------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაშაშვილი

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7		
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			-19,393
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3 297 984	3,219,247
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		3 297 984	3,219,247

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,297,984	3,219,247
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3,981,084	761,837
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-647	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		7,278,421	3,981,084
		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		761,837	(222,956)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,981,084	761,837

შპს ქუთაისი ტექსტილე

ფულადი სახსრების მოძრაობა 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა		
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 304 584	5 759 297

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაბაშ

მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-6 262 587	-5 691 232
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	41 997	68 065
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	81 017	12 952
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	123 014	81 017

შპს ქუთაისი ტექსტილე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქუთაისი ტექსტილე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15/04/2016). კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებლის ქ., N 41 კომპანიის დირექტორი - ჰაქან ქაიაბაშ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაბაშ

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობა - 5%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან

შპს ქუთაისი ტექსტილ



დირექტორი: ჰაქან ქაიაშაშვილი

დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაშაშ

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოადგენს სამომავლოდ საკუთრებაში გადასაცემი მზა პროდუქციის სანაცვლოდ გადახდილ ავანსებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შპს ქუთაისი ტექსტილ



დირექტორი: ჰაქან ქაიაშაშვილი

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3.	2020
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან/საქონლის მიწოდებიდან	7,066,179

მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება ხდება ძირითადად ფიზიკურ პირებზე.

4.	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,611,778)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

5.	2020
ცვთა და ამორტიზაცია	(58,544)

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

6.	2020
იჯარის ხარჯი	(78,106)

იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

7.	2020
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0.00

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.

შპს ქუთაისი ტექსტილ



დირექტორი: ჰაქან ქაიაბაშ

8.	2020	2019	2018
ძირითადი საშუალებები	1030256	198,171	238,222

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

9.	2020	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	1 280 250	983,487	2,421,211

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისგან.

10.	2020	2019	2018
სხვა ვალდებულებები	0	0	0

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2021 წლის 28 სექტემბერს.

შპს ქუთაისი ტექსტილე



დირექტორი: ჰაქან ქაიაბაშ